

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

დოქტორანტურის დებულება

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2018 წლის 9 მარტის №01-05-04/44
დადგენილებით

(შეტანილია ცვლილებები აკადემიური საბჭოს 2018 წლის 10 მაისის №01-05-04/110,
2018 წლის 26 ივნისის №01-05-04/16, 2018 წლის 8 ნოემბრის №01-05-04/313
დადგენილებებით)

რეგულირების სფერო

დებულების მიზანია განსაზღვროს:

- სადისერტაციო საბჭოს ფუნქციები
- სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის, მოადგილის, მდივნის, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელისა და აკადემიური დეპარტამენტის უფროსის უფლებამოსილებები;
- დოქტორანტურაში ჩარიცხვის წესი;
- დოქტორანტურაში სწავლა;
- სადისერტაციო ნაშრომის დაცვის წესი

მუხლი 1. სადისერტაციო საბჭო

1.1. სადისერტაციო საბჭო არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო. რომელიც შექმნილია სტუ-ს ფაკულტეტზე.

1.2. სადისერტაციო საბჭო შედგება ფაკულტეტის ყველა პროფესორისა და ასოცირებული პროფესორისაგან.

1.3. სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება შევიდნენ დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე სხვა პირები.

1.4. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს თავისი შემადგენლობიდან ირჩევს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო 3 წლის ვადით, ხმათა უმრავლესობით (კენჭისყრაში მონაწილეობა უნდა მიიღოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობამ), ფარული კენჭისყრით საინიციატივო ჯგუფის (არანაკლებ ხუთი წევრი) მიერ ერთი ან რამდენიმე კანდიდატურის წარდგინების საფუძველზე. ერთი და იგივე პირი თავმჯდომარედ შეიძლება არჩეულ იქნას ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. თავმჯდომარის არჩევამდე პირველ სხდომას უძღვება ფაკულტეტის დეკანი.

1.5. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს, მისი თავმჯდომარის მოთხოვნით შეუძლია აირჩიოს თავმჯდომარის მოადგილე. თავმჯდომარის მოადგილის ფუნქციებსა და უფლებამოსილებებს განსაზღვრავს სადისერტაციო საბჭო.

1.6. სადისერტაციო საბჭოს მდივნის კანდიდატურას (საბჭოს შემადგენლობიდან) წარადგენს თავმჯდომარე და ამტკიცებს სადისერტაციო საბჭო. სადისერტაციო საბჭოს მდივანი ინიშნება 3 წლის ვადით და შეიძლება დანიშნული იქნას როგორც წესი, ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

1.7. სადისერტაციო საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს საბჭოს სხდომებზე. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიღებულია, თუ მას ხმას მისცემს დამსწრეთა ნახევარზე მეტი.

1.8. სადისერტაციო საბჭო საქმიანობას წარმართავს სტუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული წინამდებარე დებულების მიხედვით.

1.9. საბჭოს მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერენ საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 2. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოვალეობა

2.1. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე იწვევს საბჭოს სხდომებს საჭიროებისამებრ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მიმდინარეობის პერიოდში. სხდომის მოწვევა შეუძლია საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს თავმჯდომარესთან შეთანხმებით.

2.2. სადისერტაციო საბჭოს სხდომებს შორის საბჭოს მუშაობას ხელმძღვანელობენ საბჭოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის არ ყოფნის შემთხვევაში მოადგილე;

2.3. სადისერტაციო საბჭოს მდივნის დაუსწრებლობის შემთხვევაში თავმჯდომარე (მოადგილე) უფლებამოსილია მდივნის მოვალეობა დააკისროს საბჭოს ერთ-ერთ წევრს.

2.4. სადისერტაციო საბჭოზე გააქვს საკითხი :

- ხელმძღვანელის დამტკიცების, შეცვლის, დამატების შესახებ;
- თემის დამტკიცების, შეცვლის/კორექტირების შესახებ;
- დისერტაციის დაცვის თარიღის, სადისერტაციო კოლეგიის შემადგენლობისა და რეცენზენტების დამტკიცების შესახებ;

შესაბამის მოხსენებითი ბარათის წარდგენა სწავლების დეპარტამენტში.

2.5. საბჭოსა და თავმჯდომარის ნებისმიერი გადაწყვეტილება დოქტორატს წერილობით უნდა ეცნობოს.

2.6.წელიწადში ერთხელ აბარებს ანგარიშს ფაკულტეტის საბჭოს ჩატარებული საქმიანობის და მომავალში ჩასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

მუხლი 3. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის უფლებამოსილება

სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის უფლებამოსილებაა:

- დოქტორანტურაში მისაღები კონტინენტის განსაზღვრის მიზნით ვაკანტური ადგილების შეთანხმება აკადემიურ დეპარტამენტებთან;
- საფაკულტეტო დროებითი კომისიის შემადგენლობის შესახებ წინადადების მომზადება;
- სასწავლო და ფინანსური ხელშეკრულებების გაფორმების და შესრულების მონიტორინგი;
- სასწავლო და კვლევითი კომპონენტების ჩაბარების მონიტორინგი;
- საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, აგრეთვე, სადისერტაციო საბჭოს ახალი თავმჯდომარის არჩევამდე პერიოდში, საბჭოს მუშაობის ხელმძღვანელობა;
- დებულებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილების განხორციელება.

მუხლი 4. სადისერტაციო საბჭოს მდივნის უფლებამოსილება

4.1. სადისერტაციო საბჭოს მდივნის უფლებამოსილებაა:

- სადისერტაციო საბჭოს სხდომების ორგანიზება;
- ფაკულტეტის ვებგვერდზე ინფორმაციის დროულ განთავსების უზრუნველყოფა;
- აპლიკანტის საბუთების შემოწმება;
- ჩარიცხვის ბრძანების პროექტის მომზადება;
- დოქტორანტის ხელმძღვანელის დანიშვნის, შეცვლის, დამატების შესახებ საკითხის მომზადება,
- დოქტორანტის თემის დამტკიცების, შეცვლის, დასახელების კორექტირების შესახებ საკითხის მომზადება;
- სემინარების/კოლოკვიუმების ჩატარების ორგანიზება (კომისიის შემადგენლობის, სხდომის ჩატარების დროისა და ადგილის განსაზღვრა), ასევე შესაბამისი საფაკულტეტო ბრძანების პროექტის მომზადება;
- დამამთავრებელ სემესტრში სადისერტაციო ნაშრომის წინასწარ დაცვაზე წარდგენის ორგანიზება;
- დოქტორანტის სადისერტაციო დოკუმენტაციის აღრიცხვა;
- ავტორეფერატისა და სადისერტაციო ნაშრომის გადაცემის ორგანიზება სტუ-ს ბიბლიოთეკისათვის და მათი განთავსება ფაკულტეტის ვებგვერდზე
- დაცვისათვის დისერტანტის საბუთების მონიტორინგი, დაცვის შესახებ ბრძანების პროექტის მომზადება;
- სადისერტაციო კოლეგიის მიერ დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების (ოქმის) საფუძველზე ბრძანების პროექტის მომზადება დოქტორის დიპლომის გაცემისათვის;
- დისერტანტის სააღრიცხვო ბარათის მომზადება.
- დებულებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილების განხორციელება.

მუხლი 5. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის უფლებამოვალეობა

- 5.1. შესაბამისი აკადემიური დეპარტამენტის დოქტორანტის სავარაუდო ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების მიერ წარმოდგენილი სადისერტაციო თემის/თემების განხილვაში მონაწილეობა;
- 5.2. საფაკულტეტო დროებით კომისიაში, სემინარების/კოლოკვიუმების კომისიებში, დარგობრივ, დაცვის კოლეგიებში მონაწილეობა (შერჩევით, თავმჯდომარის გადაწყვეტილებით);
- 5.3. სადოქტორო პროგრამის მოდიფიცირების შესახებ წინადადებების განხილვა/მომზადება;
- 5.4. პროგრამაზე მობილობით გადმოსული სტუდენტის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების და არჩეული პროგრამის თავსებადობის დადგენაში მონაწილეობა;
- 5.6. პროგრამის განხორციელების სისტემატური მონიტორინგი და ანალიზი;
- 5.7. აკადემიური საბჭოს შესაბამისი დადგენილებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების შესრულება.

მუხლი 6. აკადემიური დეპარტამენტის უფროსის უფლებამოვალეობა

- 6.1. აკადემიური დეპარტამენტის სხდომაზე დოქტორანტების მისაღები ადგილების (ვაკანსიების) შესახებ საკითხის განხილვა;
- 6.2. აკადემიური დეპარტამენტის სხდომაზე დოქტორანტის/დოქტორანტების სავარაუდო ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების მიერ წარმოდგენილი სადისერტაციო თემის/თემების განხილვა;
- 6.3. საფაკულტეტო დროებით კომისიაში, სემინარების/კოლოკვიუმების კომისიებში, დარგობრივ, დაცვის კოლეგიებში მონაწილეობა (შერჩევით, თავმჯდომარის გადაწყვეტილებით);
- 6.4. დარგობრივი კომისიის შემადგენლობის შესახებ წინადადების დამუშავება და აკადემიური დეპარტამენტის სხდომაზე განხილვა;
- 6.5. მონაწილეობა აკადემიური დეპარტამენტის სხდომაში დოქტორანტის წინასწარი დაცვის დროს;
- 6.6. აკადემიური საბჭოს შესაბამისი დადგენილებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების შესრულება.

მუხლი 7. დოქტორანტურაში ჩარიცხვა

- 7.1. ფაკულტეტის თითოეულ პროფესორს, ასოცირებულ პროფესორს (მათ შორის მოწვეულს), ემერიტუსს, აგრეთვე სტუ-ის დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულის (ინსტიტუტი, ცენტრი) დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე მთავარ/უფროს მეცნიერ-თანამშრომელს, უფლება აქვს, შესაბამისი სადოქტორო პროგრამის ფარგლებში, იყოს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი;

7.2. ფაკულტეტის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი (მათ შორის მოწვეული), ემერიტუსი, აგრეთვე სტუ-ის დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულის (ინსტიტუტი, ცენტრი) დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე მთავარი/უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, შესაბამისი სადოქტორო პროგრამის ფარგლებში, დოქტორანტურაში მიღების გამოცხადებამდე, შესაბამის აკადემიურ დეპარტამენტში წერილობით წარადგენს ვაკანტური ადგილების გამოყოფის შესახებ მოთხოვნას კვლევის საგნის, თემის სავარაუდო დასახელების და მისი აქტუალურობის მითითებით, წარმოდგენილი უნდა იქნეს აგრეთვე ბიუჯეტის პროექტი (რა ჯდება კვლევა და რა საშუალებებით იგეგმება მისი განხორციელება);

7.4. (ამოღებულია 26.06.2018, №01-05-04/166)

7.5. (ამოღებულია 26.06.2018, №01-05-04/166)

7.6. აკადემიური დეპარტამენტის უფროსი დეპარტამენტში განხილვის საფუძველზე, დეკანატში წარადგენს მოთხოვნას სადოქტორო პროგრამების მიხედვით ვაკანტური ადგილების გამოყოფის შესახებ;

7.7. ფაკულტეტის დეკანი აკადემიური დეპარტამენტების მიერ წარმოდგენილი ვაკანტური ადგილების გამოყოფის შესახებ მოთხოვნებს და საფაკულტეტო დროებითი კომისიების შემადგენლობის პროექტს განიხილავს ფაკულტეტის საბჭოზე. საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე დეკანი სწავლების დეპარტამენტში წარადგენს ფაკულტეტის საბჭოს ოქმს და მოხსენებით ბარათს ვაკანტური ადგილების გამოყოფისა და საფაკულტეტო დროებითი კომისიის/კომისიების შემადგენლობის დამტკიცების თხოვნით;

7.8. საფაკულტეტო დროებითი კომისიის შემადგენლობაში უნდა შედიოდეს ფაკულტეტის 5-7 პროფესორი/ასოცირებული პროფესორი. საფაკულტეტო დროებითი კომისიას, როგორც წესი, ხელმძღვანელობს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე;

7.9. დოქტორანტურაში სწავლის მსურველთა განცხადებების შეტანის და მათი ჩარიცხვის ვადებს, საფაკულტეტო დროებითი კომისიის შემადგენლობას ადგენს აკადემიური საბჭო, სწავლების დეპარტამენტის წარდგინებით;

7.10. აკადემიური საბჭოს დადგენილების საფუძველზე სწავლების დეპარტამენტი უზრუნველყოფს დოქტორანტურაში მიღების, საფაკულტეტო დროებითი კომისიების, საუნივერსიტეტო საპრეტენზიო კომისიის და უცხოურ ენაში საპრეტენზიო განცხადებების განმხილველი კომისიის შემადგენლობის შესახებ ბრძანების პროექტის მომზადებას;

7.11. დოქტორანტურაში ჩარიცხვის და სწავლის უფლება აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.

7.12. დოქტორანტურაში სწავლის მსურველმა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატში უნდა წარადგინოს:

- განცხადება სტუ-ის რექტორის სახელზე ფაკულტეტისა და სადოქტორო პროგრამის მითითებით (2 ეგზ.);
- მონაცემები განათლებისა და შრომითი საქმიანობის შესახებ (CV) (2 ეგზ.);
- სათანადო აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი და დიპლომის დანართი (აკადემიური ცნობა) და მათი ასლები (2-2 ეგზ.);
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და მისი ასლი (2 ეგზ.);
- ორი ფოტოსურათი, ზომით 3X4 (სმ), აგრეთვე მისი ელექტრონული ვერსია კომპაქტდისკზე (CD);
- მიწერის მოწმობა ან სამხედრო ბილეთი (სამხედრო ვალდებულებისათვის) და მისი ასლი (2 ეგზ.).

7.13. საჭიროების შემთხვევაში დოქტორანტურაში სწავლის მსურველი ვალდებულია წარმოდგენილ დოკუმენტაციას დაურთოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული ცნობა, რითაც დასტურდება მისი უფლება უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის (დოქტორანტურის) საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების შესახებ;

7.14. რეგულირებად საგანმანათლებლო პროგრამებზე დოქტორანტურაში სწავლის მსურველის მიერ გავლილი სამაგისტრო ან მასთან გათანაბრებული საგანმანათლებლო პროგრამა და არჩეული სადოქტორო პროგრამა, როგორც წესი, უნდა მიეკუთვნებოდეს მეცნიერების ერთ დარგს; შესაბამისობას ადგენს საფაკულტეტო დროებითი კომისია;

7.15. განათლებისა და შრომითი საქმიანობის შესახებ მონაცემებში – სამეცნიერო პუბლიკაციების, კონფერენციებში მონაწილეობის, სასწავლო/კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტების (სერტიფიკატები, სიგელები, პატენტები და ა.შ.) მითითების შემთხვევაში, დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველმა უნდა წარადგინოს აღნიშნული მასალების დედნები მათი ასლები.

7.16. საბუთების პირველადი შემოწმება ხდება ფაკულტეტზე, დეკანატის წარმომადგენლის მიერ. შემოწმების შემდეგ საბუთების დედნები უბრუნდება წარმომადგენს, ასლები კი რჩება პირად საქმეში;

7.17. დეკანატის წარმომადგენელი ვიზირებულ განცხადებას დანარჩენ საბუთებთან ერთად აბარებს სტუ-ის კანცელარიაში. რეგისტრირებული განცხადება რექტორის რეზოლუციით შესამოწმებლად გადაეცემა სწავლების დეპარტამენტს. შემოწმების შემდეგ საბუთების თითო ეგზემპლარი უბრუნდება შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს, ხოლო მეორე ეგზემპლარი რჩება სწავლების დეპარტამენტში;

7.18. დოქტორანტურაში ჩარიცხვის პირობა არის კონკრეტულ სადოქტორო პროგრამაში მითითებული წინაპირობის შესრულება. სადოქტორო პროგრამის მოთხოვნის შესაბამისად, ჩარიცხვის ერთ-ერთი წინაპირობა შეიძლება იყოს გამოცდის ჩაბარება უცხოურ ენაში/ენებში ან უცხოური ენის გარკვეულ დონეზე ცოდნის დამადასტურებელი შესაბამისი საერთაშორისო სერტიფიკატის არსებობა. დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველებს, რომელთაც განათლება მიღებული აქვთ საზღვარგარეთ (გავლილი აქვთ შესაბამისი უცხოენოვანი პროგრამა), გამოცდის ჩაბარება ან სერტიფიკატის წარმოდგენა არ მოეთხოვებათ;

7.19. გამოცდა უცხოურ ენაში ტარდება რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში სტუ-ის საგამოცდო ცენტრში. უცხოურ ენაში გამოცდაზე მინიმალური დადებითი შეფასება შეადგენს 51%-ს;

7.20. საფაკულტეტო დროებითი კომისიის თავმჯდომარე რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში ატარებს საფაკულტეტო დროებითი კომისიის სხდომას, რომელზეც განიხილება დოქტორანტურაში სწავლის მსურველთა განცხადებები, მოეწყობა მათთან გასაუბრება და მიიღება გადაწყვეტილება დოქტორანტურაში ჩასარიცხად რეკომენდაციების მიცემის ან უარის შესახებ, რაც აისახება კომისიის სხდომის ოქმში;

7.21. საფაკულტეტო დროებითი კომისიის სხდომის ოქმში დოქტორანტურაში ჩასარიცხ თითოეულ კანდიდატზე უნდა მიეთითოს:

- ა. სადოქტორო პროგრამის დასახელება;
- ბ. გვარი, სახელი, პირადი ნომერი;
- გ. დაბადების თარიღი;
- დ. განათლება;
- ე. მოკლე ინფორმაცია შრომითი საქმიანობის შესახებ;
- ვ. საჭიროების შემთხვევაში უცხოური ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტის არსებობა ან უცხოურ ენაში გამოცდის შედეგები;
- ზ. გადაწყვეტილება კანდიდატის დოქტორანტურაში ჩასარიცხად რეკომენდაციის მიცემის ან უარის შესახებ.

7.22. საფაკულტეტო დროებითი კომისიის სხდომის ოქმს (ოქმებს) ხელს აწერენ საფაკულტეტო დროებითი კომისიის თავმჯდომარე და წევრები;

7.23. საფაკულტეტო დროებითი კომისიის სხდომის ოქმი (ოქმები), საფაკულტეტო დროებითი კომისიის თავმჯდომარის მოხსენებით ბარათთან ერთად (რაც წარმოადგენს დოქტორანტურაში ჩარიცხვის საფუძველს), წარედგინება სტუ-ის სწავლების დეპარტამენტს, რომელიც რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში ამზადებს ბრძანების პროექტს დოქტორანტურაში ჩარიცხვის შესახებ;

7.24.ჩარიცხვა უნდა განხორციელდეს რექტორის ბრძანებით, რომელიც უნდა განთავსდეს სტუ-ის ვებგვერდზე;

7.25.დოქტორანტურაში ჩარიცხვის ბრძანების გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში დოქტორანტმა უნდა გაიაროს აკადემიური (სასწავლო ხელშეკრულების გაფორმება) და ადმინისტრაციული (საფინანსო ხელშეკრულების გაფორმება) რეგისტრაცია;

მუხლი 8. სამეცნიერო ხელმძღვანელებისა და სადისერტაციო თემების დამტკიცება

8.1.სწავლის დაწყებიდან ერთ თვეში აკადემიური დეპარტამენტის უფროსის შუამდგომლობით სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ (მოხსენებითი ბარათი სადისერტაციო საბჭოს სხდომის ოქმის ამონაწერთან ერთად), სწავლების დეპარტამენტში უნდა წარადგინოს დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელების კანდიდატურები, რის საფუძველზეც სწავლების დეპარტამენტი ამზადებს ბრძანების პროექტს თითოეული დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების დამტკიცების შესახებ;

8.2. სადისერტაციო საბჭომ, აკადემიური დეპარტამენტის ხელმძღვანელის შუამდგომლობით, დოქტორანტს შეიძლება დაუმტკიცოს ორი ხელმძღვანელი (თანახელმძღვანელები); მათ შორის ერთ-ერთი თანახელმძღვანელი შეიძლება იყოს სხვა (პარტნიორი) დაწესებულების პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, უფროსი ან მთავარი მეცნიერ თანამშრომელი, თუ სტუ-სა და ამ დაწესებულებას შორის არსებობს გაფორმებული ხელშეკრულება/მემორანდუმი თანამშრომლობის ან ერთობლივი დოქტორანტურის შესახებ.

8.3. სამეცნიერო ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელები დამტკიცებიდან ორი კვირის განმავლობაში დეკანატში წარადგენენ დოქტორანტის პერსონალურ სამუშაო გეგმას (დანართი 1);

8.4. სადისერტაციო საბჭო, სწავლების პირველი წლის მეორე სემესტრიდან აკადემიური დეპარტამენტის რეკომენდაციით, იღებს გადაწყვეტილებას დოქტორანტებისთვის სადისერტაციო თემების დამტკიცების შესახებ. ამ გადაწყვეტილების (სადისერტაციო საბჭოს სხდომის ოქმის ამონაწერი და სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოხსენებითი ბარათი) საფუძველზე სწავლების დეპარტამენტი ადგენს ბრძანების პროექტს სადისერტაციო თემების დამტკიცების შესახებ.

მუხლი 9. დოქტორანტის ხელმძღვანელის შეცვლა/დამატება და სადისერტაციო თემის შეცვლა/დასახელების კორექტირება, დოქტორანტის სტატუსის შეჩერება

9.1. სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს ორი კვირისა, დოქტორანტს აქვს უფლება, აკადემიური დეპარტამენტის უფროსთან შეთანხმებით, განცხადებით მიმართოს რექტორს სამეცნიერო ხელმძღვანელის შეცვლის ან დამატების შესახებ (გარდა დამამთავრებელი სემესტრისა). სამეცნიერო ხელმძღვანელის მოთხოვნით შეიძლება გაუქმდეს მისი ვალდებულებებიც;

9.2. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, აკადემიური დეპარტამენტის უფროსთან შეთანხმებით, სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელების თანხმობის შემთხვევაში, სამეცნიერო ხელმძღვანელის შეცვლის/დამატების შესახებ საკითხს გაიტანს საბჭოზე. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე მოხსენებით ბარათს საბჭოს ოქმთან ერთად წარადგენს სწავლების დეპარტამენტში, რომელიც არსებული წესის თანახმად უზრუნველყოფს ბრძანების პროექტის მომზადებას;

9.3. დოქტორანტის და ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელების ერთობლივი დასაბუთებული მოთხოვნით და აკადემიური დეპარტამენტის უფროსთან შეთანხმებით, როგორც წესი, სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს ორი კვირისა შეიძლება შეიცვალოს სადისერტაციო თემა ან მოხდეს მისი დასახელების კორექტირება იმავე სადოქტორო პროგრამის ფარგლებში. დამამთავრებელ სემესტრში სადისერტაციო თემის დასახელების კორექტირება დასაშვებია დისერტაციის სადისერტაციო საბჭოში დასაცავად წარდგენამდე;

9.4. დეპარტამენტის უფროსის მოთხოვნით, სადისერტაციო თემის იმავე სადოქტორო პროგრამის ფარგლებში შეცვლის ან დასახელების კორექტირების შესახებ, გადაწყვეტილებას იღებს სადისერტაციო საბჭო. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის შესაბამისი მოხსენებითი ბარათი, საბჭოს ოქმთან ერთად, წარედგინება სტუ-ის სწავლების დეპარტამენტს, რომელიც, არსებული წესის თანახმად, უზრუნველყოფს შესაბამისი ბრძანების პროექტის მომზადებას.

9.5. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ვადის ამოწურვის შემდეგ, სათანადო სასწავლო ან/და კვლევითი კომპონენტების ნაწილის შეუსრულებლობისას დოქტორანტს აქვს უფლება, გააგრძელოს დოქტორანტურაში სწავლა ერთი ან ორი დამატებითი სემესტრის განმავლობაში, საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით. ამისათვის მან მითითებული პროგრამის ვადის დასრულებისას, მომდევნო სემესტრის დაწყებამდე არანაკლებ ორი კვირით ადრე განცხადებით უნდა მიმართოს რექტორს და, შესაბამისი ბრძანების გამოცემის შემთხვევაში, არსებული წესის თანახმად გააფორმოს სასწავლო და საფინანსო ხელშეკრულება;

9.6. დოქტორანტს, რომელმაც გეგმურ ვადაში საგანმანათლებლო პროგრამა ვერ დაასრულა და საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით დამატებით

სემესტრში სტატუსის გაგრძელების შესახებ განცხადებით არ მიმართა რექტორს, დეკანის წარდგინებით შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი;

9.7. სტატუსშეჩერებულ დოქტორანტს უფლება აქვს, სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით სტუდენტის სტატუსის აღდგენის თაობაზე განცხადებით მიმართოს რექტორს. დეკანის მიერ შექმნილი კომისია განიხილავს და აფასებს დოქტორანტის სადისერტაციო თემის აქტუალურობასა და მიღებული შედეგების სამეცნიერო ღირებულებას. განხილვის შედეგად კომისიამ შეიძლება განსაზღვროს დამატებით დასაგროვებელი კრედიტების რაოდენობა და, შესაბამისად, დისერტაციის დასაცავად წარდგენის ბოლო ვადა. თუ კომისია დაადგენს, რომ საჭიროა დამატებით 60 კრედიტისზე მეტის გავლა, დოქტორანტმა შეიძლება შეიცვალოს სპეციალობა (პროგრამა) სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის შესაბამისად.

მუხლი 10. დოქტორანტურაში სწავლა

10.1. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა არის 180 კრედიტი, ერთი აკადემიური წლის განმავლობაში – 60 კრედიტი, სემესტრში – 30 კრედიტი; დასაშვებია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს, მაგრამ არაუმეტეს 75 (ECTS) კრედიტისა ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები;

10.2. სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მიზნად ისახავს დოქტორანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ დახელოვნებას, ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაში, ამზადებს მას მომავალი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისათვის. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის/კომპონენტების კრედიტების ჯამური რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 60 კრედიტს;

10.3. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის მიზანია სამეცნიერო კვლევების დამოუკიდებელი ჩატარების პრაქტიკული ჩვევების გადრმავევა, პროფესიული კვლევითი კულტურის ფორმირება და განვითარება.

10.4. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სქემა წარმოდგენილია დანართში (2);

10.5. რეგულირებადი პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე ფაკულტეტის საბჭოს შუამდგომლობით, უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება სადოქტორო პროგრამის განსხვავებული სქემის დამტკიცების შესახებ.

10.6. როგორც წესი, დაუშვებელია კომპონენტის – „სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა/დისერტაციის დასრულება, დაცვა“ პარალელურად სხვა კომპონენტების გავლა;

10.7. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საგნების ცოდნის შეფასების ფორმების შესაბამისი მეთოდების, კრიტერიუმებისა და სკალების აღწერა მოცემულია სილაბუსებში, აგრეთვე განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე: <http://gtu.ge/quality/Forms-And-Recommendations/Recommendations.php> საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების შეფასების წესი მოცემულია დებულების დანართის სახით (დანართი 3):

10.8. სწავლების პირველ წელს დოქტორანტი ხელმძღვანელთან ერთად ადგენს სადისერტაციო კვლევის პროექტის - დეტალურ გეგმას (დასამუშავებელი საკითხების ჩამონათვალს: შესავალი, სამეცნიერო სიახლე, აქტუალობა, მიზნები და თეორიული/პრაქტიკული მნიშვნელობა); სადისერტაციო კვლევის პროექტის სტრუქტურაა:

- სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა (საკითხის კვლევის ისტორია, საკვლევი საკითხის ადგილი თანამედროვე მეცნიერებაში, რატომ არის ეს საკითხი აქტუალური);
- კვლევის მეთოდოლოგია ;
- ძირითადი საკვლევი საკითხები (რა პრობლემების გადაჭრას ისახავს დოქტორატი მიზნად);
- დისერტაციის სავარაუდო სტრუქტურა;
- დისერტაციის შესრულების სავარაუდო გრაფიკი (კვლევის გეგმა);
- კვლევის მოსალოდნელი შედეგები (რამდენად შეაქვს ამ კვლევას წვლილი დარგის განვითარებაში);

10.9. დოქტორანტის მიერ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შესრულება (პროსპექტუსი 1,2; კოლოკვიუმი 1,2,3, სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა) სასწავლო კურსების ანალოგიურად, როგორც წესი, კომპონენტის დასრულების შემდეგ დასტურდება სადისერტაციო თემის ხელმძღვანელის მიერ შეფასების ელექტრონული უწყისში ასახვით. სემინარის, კოლოკვიუმების შეფასება ხორციელდება კომისიური წესით; კომისია 5-7 კაცის შემადგენლობით მტკიცდება საფაკულტეტო ბრძანებით, აკადემიური დეპარტამენტის წარდგინებით.

10.10. იმ შემთხვევაში თუ სემინარის, კოლოკვიუმის მოხსენება ტარდება უცხო ენაზე (უცხოენოვანი პროგრამები), დაცვა აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება განხორციელდეს თარჯიმნის დახმარებით. რექტორის ნებართვით დოქტორანტმა შეიძლება ჩაატაროს სემინარი, კოლოკვიუმი ონლაინ რეჟიმში (სკაიპით), კომისიური

წესით. სემინარის/კოლოკვიუმის მიმდინარეობა ჩაიწერება ელექტრონულად. ჩანაწერი (კომპაქტდისკზე) ინახება სტუდენტის პირად საქმეში;

10.11. დოქტორანტი ვალდებულია დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში, ნაშრომის სადისერტაციო საბჭოში დასაცავად წარდგენამდე, გამოაქვეყნოს სულ მცირე სამი სამეცნიერო სტატია და მიიღოს მონაწილეობა თუნდაც ერთ (პირადად გააკეთოს მოხსენება) სამეცნიერო კონფერენციის, სემინარის, ფორუმის, კონგრესის, სიმპოზიუმის მუშაობაში. სტატიებში ასახული უნდა იყოს დოქტორანტის მიერ სადისერტაციო თემაზე შესრულებული სამეცნიერო კვლევის ძირითადი შედეგები. სამეცნიერო სტატიები უნდა გამოქვეყნდეს სადისერტაციო საბჭოების მიერ რეკომენდებულ და სტუ-ის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს მიერ ამ მიზნით აღიარებულ გამოცემებში ან ისეთ დარგობრივ სამეცნიერო ჟურნალებში, რომლებიც გავრცელებულია საერთაშორისო მასშტაბით და რეფერირებულია ერთ-ერთ საერთაშორისო რეფერატულ ჟურნალში. დოქტორანტს ნაშრომი გამოქვეყნებულად ეთვლება, თუ ჟურნალის შესაბამისი ტომი (ნომერი) უკვე დაბეჭდილია ან ნაშრომი განთავსებულია ჟურნალის ოფიციალურ ვებგვერდზე.

10.12. სწავლების მეხუთე სემესტრის ძირითად სასესიო პერიოდში დოქტორანტი აკადემიური დეპარტამენტის გაფართოებულ სხდომაზე, ახდენს იმ დროისათვის მის მიერ შესრულებული სამუშაოს პრეზენტაციას. სხდომას შეიძლება ესწრებოდნენ შესაბამისი დარგის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენლები, მოწვეული პროფესორები, ემერიტუსები და სხვა დაწესებულების სპეციალისტებიც. სხდომა თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს და მდივანს. სხდომის თავმჯდომარე უნდა იყოს სტუ-ის აკადემიური პერსონალი. სხდომის მუშაობას უნდა დაესწროს დოქტორანტის ხელმძღვანელიც. დოქტორანტი წარმოადგენს კვლევის მოცემულ ეტაპზე მიღებულ შედეგებს (15-20 წუთი); პასუხობს კომისიის წევრთა შეკითხვებს; ისმენს რეკომენდაციებს. პრეზენტაცია ფორმდება ოქმით. ოქმს ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და დამსწრე წევრები. პრეზენტაციების მიმდინარეობა ჩაიწერება ელექტრონულად. ჩანაწერი (კომპაქტდისკზე) ინახება სტუდენტის პირად საქმეში;

მუხლი 11. დისერტაციის წინასწარი დაცვა

11.1. დისერტაციის დასაცავად წარდგენის წინაპირობა, ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა მოთხოვნებთან ერთად, არის კომპონენტში – სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა /დისერტაციის დასრულება, დაცვა, სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი დაცვა აკადემიური დეპარტამენტის გაფართოებულ სხდომაზე. სხდომას შეიძლება ესწრებოდნენ შესაბამისი დარგის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენლები, მოწვეული პროფესორები, ემერიტუსები და სხვა

დაწესებულების სპეციალისტებიც. სხდომა თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს და მდივანს. სხდომის თავმჯდომარე უნდა იყოს სტუ-ის აკადემიური პერსონალი. სხდომის მუშაობას უნდა დაესწროს დოქტორანტის ხელმძღვანელიც.

11.2. დოქტორანტი სხდომას მოახსენებს თავისი ნაშრომის ძირითად დებულებებს და მიღებულ შედეგებს, მკაფიოდ აყალიბებს სადისერტაციო ნაშრომის აქტუალურობას, მეცნიერულ სიახლეს, პრაქტიკულ ღირებულებას, წარმოაჩენს სადისერტაციო ნაშრომში დასმულ პრობლემას და მისი გადაწყვეტის გზებს. დოქტორანტი პასუხობს სხდომის მონაწილეთა მიერ დასმულ შეკითხვებს. წინასწარი დაცვის დროს დოქტორანტმა შეიძლება გამოიყენოს ნებისმიერი ტიპის აუდიო/ვიზუალური მასალა; წინასწარი დაცვის შედეგები ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს დეპარტამენტის უფროსი და დამსწრე წევრები. წინასწარი დაცვის მიმდინარეობა ჩაიწერება ელექტრონულად. ჩანაწერი (კომპაქტდისკზე) ინახება სტუდენტის პირად საქმეში; რექტორის ნებართვით დოქტორანტმა შეიძლება წინასწარი დაცვა ჩაატაროს ონლაინ რეჟიმში (სკაიპით) (26.06.2018, №01-05-04/166).

11.3. სადისერტაციო საბჭოში დოქტორანტის მიერ საბუთების წარდგენის შემდეგ, ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე განცხადებით მიმართავს ფაკულტეტის – Strikeplagiarism.com-ის ოპერატორს სადისერტაციო ნაშრომში პლაგიატის არსებობაზე შესამოწმებლად. პლაგიატის არარსებობის (დადებითი შეფასების) შემთხვევაში სადისერტაციო ნაშრომი ფასდება დადებითად, თუ:

ა. მსგავსების კოეფიციენტი 1 არ აღემატება 50%-ს (5-სიტყვიანი წინადადება);

ბ. მსგავსების კოეფიციენტი 2 არ აღემატება 5%-ს (25 - სიტყვიანი წინადადება);(10.05.2018, №01-05-04/110)

მუხლი 12. დისერტაციის წარდგენა სადისერტაციო საბჭოში

12.1. დისერტაციის დაცვაზე გასვლის უფლება ეძლევა დოქტორანტს, რომლის ნაშრომი არ შეიცავს პლაგიატს, რომელმაც მთლიანად შეასრულა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა სხვა კომპონენტი, არა აქვს აკადემიური და ფინანსური დავალიანება, სწავლების მეხუთე სემესტრში აკადემიური დეპარტამენტის გაფართოებულ სხდომაზე ჩაატარა იმ დროისათვის მის მიერ შესრულებული სამუშაოს პრეზენტაცია; აკადემიური დეპარტამენტის გაფართოებულ სხდომაზე მოხსენება წაიკითხა დისერტაციის შესახებ (წინასწარი დაცვა); საბჭოში წარადგინა ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებში მითითებული დოკუმენტაცია; წარმოადგინა სამეცნიერო ხელმძღვანელის (შემდგომში

ხელმძღვანელი) მიერ ხელმოწერილი დასრულებული დისერტაციისა და ავტორეფერატის ეგზემპლარები (10.05.2018, №01-05-04/110)

12.2. დასრულებული დისერტაცია გადაეცემა საბჭოს განსახილველად დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ვადის ამოწურვამდე არანაკლებ ორი და არაუმეტეს სამი თვით ადრე;

12.3. დოქტორანტმა სადისერტაციო საბჭოს მდივანს უნდა წარუდგინოს:

ა) განცხადება საბჭოს თავმჯდომარის სახელზე დისერტაციის განსახილველად მიღების თხოვნის შესახებ;

ბ) სადოქტორო პროგრამის სწავლების ენაზე შესრულებული დისერტაციის 4 აკინძული ეგზემპლარი და მისი ელექტრონული ვერსია (PDF ფორმატში);

გ) სადოქტორო პროგრამის სწავლების ენაზე შესრულებული ავტორეფერატის 20-30 ეგზემპლარი და მისი ელექტრონული ვერსია (PDF ფორმატში);

დ) ხელმძღვანელის (თანახელმძღვანელების) მიერ დოქტორანტის დახასიათება დოქტორანტურაში სწავლისა და დისერტაციის მომზადების პერიოდში გამოვლენილი საქმიანი თვისებების შესახებ;

ე) სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული კვლევის ძირითადი შედეგების ამსახველი და დადგენილი წესის შესაბამისად გამოქვეყნებული ნაშრომები (სულ მცირე სამი სამეცნიერო სტატია). სამეცნიერო კონფერენციების, სემინარების, ფორუმების, კონგრესების, სიმპოზიუმების მასალები (მინიმუმ ერთი მოხსენება). გამოგონებების, პატენტების დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტები (მათი არსებობის შემთხვევაში) და მათი სია დამოწმებული შესაბამისი აკადემიური დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიერ;

ვ) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული დიპლომის ასლი (პირები, რომლებსაც განათლება მიღებული აქვთ უცხოეთში, წარმოადგენენ მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს, რომელიც გაცემულია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ);

ზ) ბიოგრაფიული ცნობები (CV).

თ) განცხადება პლაგიატის არარსებობის შესახებ; (10.05.2018, №01-05-04/110)

12.4. დეკანატი ვალდებულია სადისერტაციო საბჭოს მდივნის მოთხოვნის საფუძველზე გადასცეს მას ინფორმაცია დოქტორანტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების შესრულების შესახებ (სასწავლო ბარათი); კოლოკვიუმების, სემინარების და წინასწარი დაცვის აუდიო/ვიდეო ჩანაწერები, შესაბამისი ოქმების და ყველა კომპონენტის ელექტრონული უწყისების ასლები; აგრეთვე ინფორმაცია დოქტორანტის ფინანსური ვალდებულების შესრულების შესახებ;

12.5. დისერტაცია და ავტორეფერატი გაფორმებული უნდა იყოს შესაბამისი მოთხოვნების მიხედვით (დანართი 2, 3);

12.6. ავტორეფერატში წარმოდგენილი უნდა იყოს დოქტორანტის მიერ გამოქვეყნებული მხოლოდ იმ შრომების, პატენტების ნუსხა, რომელთა შინაარსი შეესაბამება დისერტაციის თემატიკას და შედის სადისერტაციო ნაშრომში.

მუხლი 13. დისერტაციის დაცვის თარიღისა და ოფიციალური რეცენზენტების დანიშვნა

13.1. დისერტაციის წარდგენის შემდეგ სადისერტაციო საბჭოს მდივანი ერთი კვირის ვადაში ამოწმებს დოკუმენტაციას, ავტორეფერატის და დისერტაციის გაფორმების შესაბამისობას მოთხოვნებთან და ხარვეზის არარსებობის შემთხვევაში გადასცემს საბჭოს განსახილველად;

13.2. საბჭო ქმნის თავისი შემადგენლობიდან დისერტაციის თემატიკის შესაბამისად სამწევრიან კომისიას, რომელიც გაეცნობა დისერტაციას და 10 დღეში ამზადებს დასკვნას:

ა) სადოქტორო პროგრამასთან დისერტაციის შესაბამისობის შესახებ;

ბ) დოქტორანტის მიერ გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესაბამისობა ამ დებულების მე-9 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნებთან;

გ) ავტორეფერატის დისერტაციასთან შესაბამისობის შესახებ;

დ) სავარაუდო რეცენზენტების შესაბამისობა მისდამი წაყენებულ მოთხოვნებთან.

13.3. ამ მუხლის მეორე პუნქტში მითითებული დასკვნის საფუძველზე, საბჭო თავმჯდომარის წარდგინებით, სხდომაზე მიიღებს გადაწყვეტილებას დოქტორანტის დაცვაზე დაშვების ან არდაშვების შესახებ. დოქტორანტის დაცვაზე არდაშვების შემთხვევაში, დისერტაცია და მასთან დაკავშირებული სრული დოკუმენტაცია შეინახება საბჭოს არქივში. დოქტორანტი უფლებამოსილია გაეცნოს ამ დოკუმენტაციას; დოქტორანტს თუ არა აქვს გამოყენებული დამატებითი სემესტრი/სემესტრები, ეძლევა ვადა დისერტაციის გადასამუშავებლად და სადისერტაციო საბჭოში მის თავიდან წარსადგენად.

13.4. დოქტორანტის დაცვაზე დაშვების უარის საფუძველი შეიძლება იყოს გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული მოთხოვნების დარღვევისა, აგრეთვე:

ა) დოკუმენტების არასრულყოფილება;

ბ) დოკუმენტების გაყალბება.

13.5. საბჭო უფლებამოსილია მოიწვიოს დოქტორანტი სხდომაზე საჭირო განმარტების მიცემის მიზნით; ასევე, მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაცია ან/და დოკუმენტები;

13.6 დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ინიშნება დისერტაციის დაცვის თარიღი და მტკიცდება ორი ოფიციალური რეცენზენტი აგრეთვე სადისერტაციო კოლეგიის შემადგენლობა (მათ შორის, კოლეგიის თავმჯდომარის კანდიდატურა). კოლეგიის თავმჯდომარე უნდა იყოს სტუ-ს აკადემიური პერსონალი.

13.7. სადისერტაციო კოლეგია იქმნება ერთჯერადად, მხოლოდ კონკრეტული დისერტაციის დაცვისათვის. იგი უნდა შედგებოდეს სადოქტორო პროგრამის შესაბამისი მეცნიერების დარგის 7-9 წარმომადგენლისაგან; მათ შორის 30% არ უნდა იყოს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრი. კოლეგიაში წევრის სახით უნდა შევიდნენ სადისერტაციო თემის ხელმძღვანელი და რეცენზენტები.

13.8. ოფიციალური რეცენზენტი უნდა იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, მათ შორის მოწვეული), აგრეთვე სტუ-ის დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულის (ინსტიტუტი, ცენტრი) დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე მთავარი/უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, რომელსაც დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამის დარგში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 3 შრომისა უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში, რომელთა შესაბამისობას ადგენს საბჭო. ოფიციალური რეცენზენტი არ შეიძლება იყოს: სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, მისი მოადგილე ან მდივანი, დოქტორანტის მიერ შესრულებული რომელიმე ნაშრომის თანაავტორი; დაუშვებელია, რომ ორივე ოფიციალური რეცენზენტი იყოს რომელიმე ორგანიზაციის ერთი და იმავე სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელი;

13.9. სადისერტაციო საბჭოს მდივანი უმოკლეს ვადაში უზრუნველყოფს:

- დისერტაციისა და ავტორეფერატის თითო ეგზემპლარის და მათი ელექტრონული ვერსიების გადაცემას სტუ-ის ბიბლიოთეკისათვის;
- დისერტაციისა და ავტორეფერატის ელექტრონული ვერსიების განთავსებას სტუ-ს ვებგვერდზე;
- დისერტაციისა და ავტორეფერატის ეგზემპლარების გადასცემას ოფიციალური რეცენზენტებისათვის;
- ავტორეფერატის თითო ეგზემპლარის გადაცემას კოლეგიის დანარჩენი წევრებისათვის.

დოქტორანტი ვალდებულია საჭიროების შემთხვევაში წარმოადგინოს ავტორეფერატების დამატებითი ეგზემპლარები;

13.10. დისერტაციის დაცვამდე 2 კვირით ადრე ოფიციალურმა რეცენზენტმა წერილობითი დასკვნა ორ ეგზემპლარად უნდა წარმოადგინოს საბჭოში და

დააბრუნოს დისერტაციის ეგზემპლარი; ოფიციალურ რეცენზენტების დასკვნების თითო ეგზემპლარი გადაეცემა დოქტორანტს;

13.11. ოფიციალური რეცენზენტის დასკვნაში უნდა აისახოს: სადისერტაციო თემის აქტუალობა, სიახლე, კვლევის მეცნიერული დონე, სამეცნიერო კვლევის შედეგები და სანდოობა, ფინანსურ მაჩვენებლები (არსებობის შემთხვევაში), გამოყენებული მეთოდები (მეთოდოლოგია), დისერტაციის გაფორმების ხარისხი და სხვ. დასკვნაში აღნიშნული უნდა იყოს ოფიციალური რეცენზენტის აზრი – აკმაყოფილებს თუ არა დისერტაცია წაყენებულ მოთხოვნებს, იმსახურებს თუ არა დოქტორანტი დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებას; რეცენზენტის ხელმოწერა დადასტურებული უნდა იყოს იმ ორგანიზაციის ბეჭდით, რომელშიც მუშაობს რეცენზენტი;

13.12. თუ რომელიმე ოფიციალური რეცენზენტის მიერ დასკვნის წარმოდგენა შეუძლებელია ობიექტური გარემოებების გამო (უბედური შემთხვევა, ავადმყოფობა და სხვ.), სათანადო ცნობის ან მოხსენებითი ბარათის წარმოდგენის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარე უახლოეს ვადაში იწვევს საბჭოს სხდომას, მტკიცდება სხვა ოფიციალური რეცენზენტი და განიხილება დაცვის თარიღის ცვლილების აუცილებლობა, რაც სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, დეკანისა და სწავლების დეპარტამენტის შუამდგომლობით უნდა გაფორმდეს რექტორის ბრძანებით.

13.13. საბჭოს მდივანმა დოქტორანტს დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ;

13.14. დისერტაციის დაცვამდე ერთი კვირით ადრე გამოიცემა რექტორის ბრძანება დაცვის დანიშნის შესახებ. ბრძანებაში მითითებული უნდა იყოს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამისა და სადისერტაციო თემის დასახელება, დოქტორანტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, სადისერტაციო კოლეგიის შემადგენლობა (თავმჯდომარის, სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელების, ოფიციალური რეცენზენტების და მოწვეული წევრების მითითებით), დაცვის თარიღი, დრო და ადგილი. აღნიშნული ინფორმაციის საჯაროობას უზრუნველყოფს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს მდივანი ფაკულტეტის ვებგვერდზე, თვალსაჩინო ადგილზე განცხადების განთავსებით და სხვა საშუალებებით;

13.15. დოქტორანტს უფლება აქვს ორივე ოფიციალური რეცენზენტების უარყოფითი დასკვნის შემთხვევაშიც მოითხოვოს დაცვის ჩატარება. ასევე, მას უფლება აქვს საკუთარი ინიციატივით მოხსნას განხილვიდან თავისი ნაშრომი დაცვამდე

ნებისმიერ ეტაპზე. ამ შემთხვევაში დისერტაციის წარდგენა შეიძლება მომდევნო სემესტრში არსებული წესის შესაბამისად.

13.16. საბჭოს თავმჯდომარემ მიღებული გადაწყვეტილებები ოქმის სახით უნდა გადასცეს დეკანატს სტუდენტის პირად საქმეში შესატანად.

მუხლი 14. დისერტაციის დაცვა

14.1. დისერტაციის დაცვა (შემდგომში დაცვა) ტარდება საჯაროდ, საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე ან სადისერტაციო კოლეგიაზე ფაკულტეტის გადაწყვეტილების შესაბამისად.

14.2 სადისერტაციო კოლეგია იქმნება ერთჯერადად, მხოლოდ კონკრეტული დისერტაციის დაცვისათვის. იგი უნდა შედგებოდეს სადოქტორო პროგრამის შესაბამისი მეცნიერების დარგის 7-9 წარმომადგენლისაგან; მათ შორის 30% არ უნდა იყოს სადისერტაციო საბჭოს წევრი. კოლეგიაში წევრის სახით უნდა შევიდნენ თემის ხელმძღვანელი და რეცენზენტები.

14.3. დაცვას საპატიო მიზეზით შეიძლება არ ესწრებოდეს ერთ-ერთი ოფიციალური რეცენზენტი, რომელსაც წარმოდგენილი აქვს დადებითი დასკვნა. ამ შემთხვევაში დასკვნა მთლიანად უნდა იქნეს წაკითხული დაცვის მსვლელობისას. თუ დაცვას არ ესწრება არცერთი ოფიციალური რეცენზენტი, დაცვა არ შედგება.

14.4. თუ დოქტორანტი დოკუმენტურად დასაბუთებული საპატიო მიზეზით ვერ გამოცხადდა დისერტაციის დაცვაზე, საბჭოს კვორუმი არ შედგა, ან დაცვა არ შედგა დოქტორანტისაგან დამოუკიდებელი სხვა მიზეზის გამო, საბჭოს მიერ დაცვა დაინიშნება უახლოეს მისაღებ დროს;

14.5. სადისერტაციო კოლეგია/საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო მუშაობს ქართულ ენაზე. უცხოენოვანი სადოქტორო პროგრამის შემთხვევაში დაცვა ჩატარდება სადოქტორო პროგრამის სწავლების ენაზე (აუცილებლობის შემთხვევაში თარჯიმნის დახმარებით);

14.6. სადისერტაციო კოლეგიის/საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომას ხსნის თავმჯდომარე. იგი ადასტურებს კვორუმის არსებობას და დამსწრეთ აცნობს სხდომის დღის წესრიგს;

14.7. დოქტორანტისა და ოფიციალური რეცენზენტების მოხსენებების, აგრეთვე, კოლეგიის/საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წევრებისა და სხვათა გამოსვლების მაქსიმალურ ხანგრძლივობას განსაზღვრავს კოლეგია//საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო თავმჯდომარის წინადადებით;

14.8. სხდომის მდივანი აცნობს დამსწრე საზოგადოებას დოქტორანტის ვინაობას, მის მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებს, დისერტანტის მიერ გავლილი სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულების და წინასწარი დაცვის შედეგებს,

დისერტაციის თემათა და ოფიციალური რეცენზენტების ვინაობას, კოლეგიის/საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წევრებს აცნობს დოქტორანტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებსა და დისერტაციის დაცვის პროცედურას;

14.9. სხდომის თავმჯდომარის წინადადებით, დოქტორანტი, რეგლამენტით გათვალისწინებულ დროში, მკაფიოდ აყალიბებს მეცნიერულ სიახლეს, ნაშრომის ძირითად დებულებებს, მიღებულ შედეგებს და კითხულობს დასკვნებს;

14.10. დოქტორანტი პასუხობს კოლეგიის/საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წევრებისა და დამსწრეთა მიერ დასმულ შეკითხვებს, რის შემდეგაც თავმჯდომარე კოლეგიას/საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს გააცნობს დისერტაციაზე გამომხაურებებს (მათი არსებობის შემთხვევაში). ყველა კრიტიკული შენიშვნა მთლიანად უნდა იქნეს წაკითხული. დოქტორანტი ვალდებულია პასუხი გასცეს ყველა შენიშვნას. იწყება ოფიციალური რეცენზენტების პაექრობა დოქტორანტთან, რის შემდეგაც სიტყვა ეძლევა სამეცნიერო ხელმძღვანელს/თანახელმძღვანელებს დოქტორანტის დახასიათებისათვის. იმართება დისკუსია, რომელშიც მონაწილეობის მიღება შეუძლიათ როგორც კოლეგიის/საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წევრებს, ისე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენლებს;

14.11. დისერტაციის დაცვის დროს დისერტანტმა შეიძლება გამოიყენოს თვალსაჩინო მასალა: პლაკატები, ვიდეო პროექტორი და სხვა ტექნიკური საშუალებები;

14.12. სადისერტაციო თემის ხელმძღვანელის მიერ დაცვის შეფასება აისახება შეფასების ელექტრონული უწყისში.

14.13. დისერტაციის დაცვის მსვლელობა ფიქსირდება აუდიო/ვიდეო ტექნიკური საშუალებებით. ჩანაწერი კომპაქტ დისკზე ინახება დოქტორანტის პირად საქმეში.

14.14. დოქტორანტის პირადი საქმე ინახება დეკანატში დაცვიდან 5 წლის განმავლობაში, შემდეგ გადაეცემა სტუ-ს არქივს.

14.15. დაცვის შემდეგ დეკანატი ამზადებს ბრძანების პროექტს დოქტორანტისათვის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ. დაცვის შემდეგ დისერტაციის ერთი ეგზემპლარი გადაეცემა საჯარო ბიბლიოთეკას.

მუხლი 15. სწავლება-სწავლის არასრული დატვირთვის რეჟიმი

15.1. სტუ უფლებამოსილია, საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე, განახორციელოს სწავლება-სწავლის პროცესი არასრული დატვირთვით დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში;

15.2. სწავლება-სწავლის არასრული დატვირთვის რეჟიმი ნიშნავს სტუდენტის სასწავლო დატვირთვას კვირაში დამოუკიდებელი და საკონტაქტო საათების ჯამური მოცულობით არაუმეტეს 25 ასტრონომიული საათისა;

15.3. სწავლება-სწავლის არასრული დატვირთვის განსაზღვრისას ერთი აკადემიური წელი მოიცავს საშუალოდ 30 (ECTS) კრედიტს.

მუხლი 16. დოქტორანტურა პარტნიორი დაწესებულების მონაწილეობით

16.1. სტუ უფლებამოსილია დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით, საქართველოს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო ან უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან გააფორმოს ხელშეკრულება დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად;

16.2. სტუ უფლებამოსილია საქართველოს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ან/და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთობლივად განახორციელოს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;

16.3. სადოქტორო პროგრამის განხორციელება პარტნიორი დაწესებულების მონაწილეობით წესრიგდება ამ ორგანიზაციასთან დადებული ხელშეკრულებით თანამშრომლობისა ან/და ერთობლივი დოქტორანტურის შესახებ;

16.4. პარტნიორი დაწესებულებების მონაწილეობისას დოქტორანტურაში ჩარიცხვის კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს ერთობლივი დოქტორანტურის შესახებ ხელშეკრულებით განსაზღვრულ დოქტორანტურაში მიღების პირობებს;

16.5. სტუ-ის დოქტორანტობის მსურველი პირის განცხადებას, ამ დებულებით გათვალისწინებულ საბუთებთან ერთად, უნდა დაერთოს პარტნიორი დაწესებულების წარმომადგენლის თანხმობა თემის თანახემდღვანელობაზე;

16.6. პარტნიორი დაწესებულების მონაწილეობისას დისერტაციას ერთობლივად უნდა უხელმძღვანელონ სტუ-ის პროფესორმა და პარტნიორი დაწესებულების პროფესორმა ან დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე სამეცნიერო პერსონალმა;

მუხლი 17. მობილობა დოქტორანტურაში

17.1. უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, მობილობის უფლება დოქტორანტს ეძლევა სწავლების პირველი წლის დამთავრების შემდეგ, კალენდარული წლის განმავლობაში ორჯერ, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილ ვადაში.

17.2. მობილობა ტარდება სტუ-ში სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქციის შესაბამისად;

17.3. დოქტორანტურაში მობილობით ჩარიცხვის წინაპირობაა მობილობის მსურველის სადოქტორო პროგრამის შესაბამისობა სტუ-ის სადოქტორო პროგრამასთან;

17.4. სადოქტორო პროგრამაზე კონკურსის არსებობის დროს აგრეთვე მხედველობაში მიიღება:

- სამეცნიერო პუბლიკაციების არსებობა;
- სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა;
- სასწავლო/კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა აქტივობები (სერტიფიკატები, სიგელები, პატენტები, პროექტები და ა.შ).

17.5. სადოქტორო პროგრამების შესაბამისობას, მობილობის მსურველის მიერ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას არჩეულ სადოქტორო პროგრამასთან და შესაბამისი კრედიტების აღიარებას, აგრეთვე ასათვისებელი კრედიტების რაოდენობას ადგენს საფაკულტეტო კომისია.

მუხლი 18. დებულების ძალაში შესვლა

დებულება ძალაშია :დამტკიცების დღიდან, 10.8, 10.12 და 12.1 მუხლები ძალაშია 2018-2019 სასწავლო წლიდან დამტკიცებული პროგრამებისათვის